

ზმნის უღლების სისტემის სწავლება ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად (III სერია)

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

e-mail: nana_shavtvaladze@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.47>

ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, უდავოა, ჩვენ ვეხებით ჩვენს ქართულ ენას, ჩვენს მენტალობას. ენა ჩვენი კულტურის, აზროვნების, ხედვის, ენერჯის, იდენტობის ჩვენების საშუალებაა. ბევრი რამ ცნობილი და გასაგები ხდება ქართული ენის შემსწავლელთათვის ჩვენი ერის ცნობიერების შესახებ. ენისადმი ლინგვისტური მიდგომა, გამოყენების მიზნობრიობა, მეთოდური ხედვა გასაგებია, მაგრამ შემსწავლელს ხშირად აინტერესებს, თუ როგორია ამა თუ იმ ერის მთლიანი კულტურული სახე. ამიტომაც დღევანდელმა მსოფლიო ცხოვრებამ ამ მოთხოვნის წინაშე დაგვადგინა. კიდევ უნდა გავიხსენოთ ამერიკელი **ერინ მეიერი**, რომელმაც ამ გამოწვევას მრავალ კვლევაზე დაყრდნობილი წიგნით, „კულტურული რუკა“, უპასუხა. აქ პრაქტიკული ხედვით მრავალი ერია წარმოჩენილი თავისი კულტურული მიდგომით, მაგრამ, სამწუხაროდ, არა - საქართველო. ერინ მეიერის შეფასების სქემა და კვლევა ძალიან შთამბეჭდავია. მთავარ სირთულეს ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლისას, იქნება ეს ევროპელი, ამერიკელი თუ აზიელი სტუდენტი, წარმოადგენს ქართული ზმნა, ზმნის სტრუქტურა და მისი ფორმაცვალების სისტემა. შესაბამისად, ჩვენი ვალია, სწავლებისას იმ მეთოდური მიდგომების შემუშავება, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება ზმნის უღლების სისტემის აღქმასა და გაცნობიერებაში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ენის გასაღები და ხერხემალი პოლისემიური ზმნაა.

ცხადია, ესაა ჩვენი ხედვა, სურვილი და ოცდახუთწლიანი მუშაობის სტრატეგია. ამიტომ დღემდე შექმნილ სახელმძღვანელოებში სხვადასხვა სახითა და ხარისხით არის წარმოდგენილი ზმნის ფუნქცია-აქტივობა. საყურადღებოა შემსწავლელის კონკრეტული მიზანი, ვინ არის, რატომ სწავლობს, რა მიზნით ფიქრობს სამომავლოდ ენის გამოყენებას. მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე დავრწმუნდით, რომ ენის აკადემიურ დონეზე შესწავლისას საჭიროა ზმნის კონსტრუქციის ჩაშლა, თითოეული სერიისა და მწკრივის თავისებურების გათვალისწინება სწავლების დონესთან მიმართებით. არა გრამატიკული უღლების სწავლება, არამედ თითოეული სერიის მწკრივის ფუნქციური ველის განმარტება და გამოყენების ფუნქციონირება.

უმნიშვნელოვანესია ზმნათა დალაგება გამოყენების სიხშირის ფუნქციის მიხედვით, კატეგორიების გამოყოფა და მათი სამეტყველო ფაზაში ასახვა მარტივი დონიდან უმაღლეს დონემდე. ანუ, რას იყენებს აქტიურად შემსწავლელი მეტყველებაში, ზმნის რომელ ფორმებს, რა მიზნითა და რა სიხშირით. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ მესამე სერიის მწკრივების ფორმების სწავლებასთან დაკავშირებული

სირთულეები და ამ გამოწვევებთან გამკლავების საშუალებები, ჩვენ მიერ მრავალჯერ ნაცადი და აპრობირებული მეთოდები, სტრატეგიები, ხერხები.

ამასთან, უდავოდ, გავითვალისწინებთ ორივე სისტემის, ვინიან და მანიან, ზმნათა კატეგორიების ფუნქციასა და უკუგებას.

ძალიან საყურადღებოა ჩვენი გაბმული მეტყველება და სალაპარაკო ქართულში გამოყენებული სასაუბრო ფორმები. ჩვენ როცა გვინტერესებს რაიმე ფაქტი შესრულდა თუ არა, ვსვამთ კითხვას: „გაკეთე?“ - კონკრეტულ პასუხს იმ შემთხვევაში ვიღებთ, თუ დავალება ან მოცემულობა შესრულებულია. ანუ, თუ დადებითი პასუხი გვაქვს, ამ შემთხვევაში ვიყენებთ II სერიის „წყვეტილის მწკრივს“ და უმაღლეს პასუხობთ: „გაკეთე!“ საინტერესოა და ქართველთა მენტალობის ფორმისთვის დამახასიათებელია, რომ დადებითი პასუხის დროს ვიყენებთ „წყვეტილის მწკრივს“ ფორმას, მაგრამ თუ დავალება სხვადასხვა მიზეზის გამო არ არის შესრულებული და ფაქტია, რომ შეუსრულებელია, მაშინ აქტიურდება ჩვენს გონებაში III სერიის „I თურმეობითის მწკრივი“. ანუ, კითხვისას: „გაკეთე?“ - ვიღებთ უარყოფით პასუხს იმედის მოლოდინით, რომ გაკეთდება: „არ გამიკეთებია!“ იგულისხმება, რომ ჯერ არ გამიკეთებია, პროცესში ვარ, რაღაცამ ხელი შემიშალა და ა.შ. მიჯრით მიედინება მიზეზთა ჯაჭვი. ეს ჩვენი მენტალობის ამსახველია, რომ იმედს ვამღევეთ საკუთარ თავსაც და დარწმუნებულები ვართ ჩვენი ქმედების სიმართლეში, თითქოს გრამატიკული ფორმით ვხსნით, რატომ არ გვაქვს რაიმე უკვე მზად ან გაკეთებული.

საგანმანათლებლო სივრცის „სემიტა.ენის სკოლა“ ამოქმედებს უცხოელთათვის ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელ პროგრამას, რომელიც ეყრდნობა გამოცდილ მასალას - სერია „ბილიკი“. „ბილიკის“ მეორე დონეზე, B1 დონის, სახელმძღვანელოში პირველი კარი ეძღვნება III სერიის „I თურმეობითის მწკრივს“. ამ დროისთვის შემსწავლელმა უკვე იცის A1 და A2 დონეზე ქართული ენა. ნასწავლი აქვს შემდეგი მწკრივები: I სერია - აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი; II სერია - წყვეტილი, II კავშირებითი. ეს ეხება I, II და IV ჯგუფის ზმნებს.

B1 დონის „ბილიკის“ სახელმძღვანელო პირველივე კარიდან იწყებს III სერიის „I თურმეობითის მწკრივის“ წარდგენას. ჯერ მიეწოდება მხოლოდ პირველი ჯგუფის ზმნები: **-ობ, -ებ, -ი, უთემისნიშნო** (ნ.შ. ბილიკი II, გვ.:9); თვალსაჩინო ხდება, თუ როგორ აწარმოებს ეს ზმნები I თურმეობითის მწკრივს. მწკრივი ასე იხსნება: გამოვყოფთ მაწარმოებლებს, გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა, ზმნა I თურმეობითში წარდგეს როგორც ზმნისწინიანი, ასევე უზმნისწინო ფორმითაც:

მხ. რიცხვი	ზმნისწინი/მი -- ია	მრ. რიცხვი	ზმნისწინი/გვი -- ია
	ზმნისწინი/გი -- ია		ზმნისწინი/გი -- იათ
	ზმნისწინი/უ -- ია		ზმნისწინი/უ -- იათ

ვიწყებთ - ობთემისნიშნიანი ზმნებით, რომლებიც შემსწავლელს საკმაოდ ბევრი იციან. მაგ.: უცხოვრია, უსწავლია, უმუშავია, ულაპარაკია, უთამაშია... მეორე კარში **-ავ და -ამ** თემისნიშნიანი ზმნები შემოდის.

მეთოდურ ხედვაზე დაყრდნობით სასხვისო ქცევი ნიშნებს არ ვასწავლით ამ ეტაპზე. სწავლების მიდგომიდან გამომდინარე არ ვაცალკევებთ სასხვისო ქცევისა და ობიექტური პირის ნიშნებს. ჩვენთვის უმჯობესია ერთად აღიქვას შემსწავლელმა **მი-, გი-, უ-, გვი-** ნიშნები. მათ ვუთითებთ განსხვავებული ფერით, რომ განარჩიონ და როგორც მარკერები I თურმეობითის წარმოებისას, ასევე დაიმახსოვრონ. დაბოლოება ყველგან ერთნაირია - **ია**, მხოლოდ მეორე და მესამე პირის მრავლობითში ემატება **-თ**. ანუ, **-იათ** დაბოლოებაა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მწკრივისთვის მნიშვნელოვანია სუბიექტის **მიცემითის ბრუნვის** ფორმა; სვალდებულოა პირდაპირი ობიექტის სახელობითი ბრუნვის ფორმით დამახსოვრება; სამპირიან ზმნებში ირიბი დამატების **-თვის** თანდებულობით სახეცვლილება (ნ.შ. ბილიკი II, გვ.:19); მაგ.: „ლიკას ბებოსთვის ნამცხვარი ჯერ არ

გაუკეთებია!“ „დედას ლაშასთვის სადილი მოუმზადებია!“ „ნიკოს დედასთვის ხორცი არ შეუწავას!“

I თურმეობითის მწკრივის შინაარსის გაგებისთვის ვიშველიებთ ნაწილაკებს და უარყოფით ფორმის იმ ნაწილაკებს, რომლებიც აზრის აღქმასა და გაგებაში ეხმარება სტუდენტებს: **არ** გამიკეთებია; **ჯერ არ** მიმუშავია, **თურმე** შემიჭამია...

„ბილიკი II“ - B1 დონის სახელმძღვანელოში შემოდის შემსწავლელთათვის ჯერ უცნობი პასიური ზმნები და მათ წარმოება. ვიწყებთ დინამიკური ვნებითის ზმნების ფორმების წარდგენას - უნიშნო: თბება, ტკბება, დგება.. დონიანი: ბრაზდება, წითლდება, ინტერესდება... ინიანი: იჭედება, იბეჭდება, იწყება; ენიანი: ემსახურება.

ამ დონეზე ხდება A1, A2 დონეზე ნასწავლი ზმნებისთვის I თურმეობითის წარდგენა, დამუშავება და ეტაპობრივად მიწოდება. აგრეთვე ვნებითი გვარის ზმნები, რა თქმა უნდა, ჯერ აწმყო დროით ლაგდება და ნელ-ნელა ნასწავლი, ნაცნობი მწკრივები იხსნება და შემდეგ ამ ზმნებისთვის I თურმეობითის სპეციალური წარმოება. მაგ.: გაბრაზებულა, დაინტერესებულა, დამთავრებულა, გამდიდრებულა, გაჭედილა, გამთბარა...

B1 დონისთვის შემსწავლელმა იცის ოთხივე ჯგუფის ზმნები და შემდეგი მწკრივები: I სერია - აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი; II სერია - წყვეტილი, II კავშირებითი;

III სერია - I თურმეობითი. I თურმეობითი ახსნილია I, III და IV ჯგუფის ზმნებში B 1 დონეზე.

B2 დონისთვის 2015 წლიდან არსებობს „ბილიკი III“: სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, საკითხავი მასალა. სახელმძღვანელოში პირველი კარიდან გრძელდება I თურმეობითის სწავლება. ამჯერად უკვე II ჯგუფის ზმნებისთვის. პირველი კარიდან მეშვიდე კარის ჩათვლით მრავალჯერ მეორდება I თურმეობითის ზმნათა წარმოება ოთხივე ტიპის ახალი შინაარსის ზმნებთან. შემსწავლელი მომზადებულია B1 დონიდან და მზაობა აქვს გაიგოს I თურმეობითის მწკრივის წარმოება და დაადგინოს მისი მოხმარების ველი.

II თურმეობითის მწკრივი შემოდის B2 დონის სახელმძღვანელოს მერვე კარიდან. (ნ.შ. ბილიკი III, გვ.:118); I ჯგუფის ზმნების ფორმებით აქტიურდება ეს მწკრივი. რაღა თქმა უნდა, ვიწყებთ I ჯგუფის ზმნებით - ობთემისნიშნისაღებით. მაგ.: ეცხოვრა, ესწავლა, ემუშავა, ელაპარაკა, ეთამაშა... ამჯერადაც გამოვყოფთ მაწარმოებლებს, ვითვალისწინებთ, რომ შესაძლოა, ზმნა II თურმეობითშიც წარდგეს როგორც ზმნისწინიანი, ასევე უზმნისწინო ფორმითაც:

მხ. რიცხვი	ზმნისწინი/მე -- ა	მრ. რიცხვი	ზმნისწინი/გვე -- ა
	ზმნისწინი/გე -- ა		ზმნისწინი/გე -- ათ
	ზმნისწინი/ე -- ა		ზმნისწინი/ე -- ათ

იმავე სტრატეგიის მიხედვით აქაც არ გამოვყოფთ სასხვისო ქცევის ნიშნებს, არ ვაცალკევებთ სასხვისო ქცევისა და ობიექტური პირის ნიშნებს. აქაც იმავე მიდგომით ვუთითებთ განსხვავებული ფერით, რომ ადვილად აღიქვას შემსწავლელმა ამჯერად **მე-, გე-, ე-** ნიშნები; დაბოლოება ყველგან ერთნაირია - **ა**, მხოლოდ მეორე და მესამე პირის მრავლობითში ემატება **-თ**. ანუ, **-ათ** დაბოლოებაა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მწკრივისთვისაც, II თურმეობისთვის, ისევე, როგორც I თურმეობითშიც, მნიშვნელოვანია სუბიექტის **მიცემითის ბრუნვის** ფორმა; სავალდებულოა პირდაპირი ობიექტის სახელობითი ბრუნვის ფორმით დამახსოვრება; სამპირიან ზმნებში ირიბი დამატების **-თვის** თანდებულით სახეცვლილება. მაგ.: „ლიკას ნეტავ ბებოსთვისაც გაეკეთებია ნამცხვარი!“ „დედას ლაშასთვის ნეტავ სადილი მოუმზადებია!“ „ნიკოს ნეტავ მამასთვისაც ხორცი შეეწავა!“

II თურმეობითის მწკრივის შინაარსის გაგებისთვის ვააქტიურებთ იმ ნაწილაკებს, რომლებიც აზრის აღქმასა და გაგებაში ეხმარება შემსწავლელს: „გიორგის ხომ არ გაეკეთებინა ეს კარადა?!“ „იქნებ საბას ემუშავა საელჩოში?!“ „ნეტავ ნინოს შეეჭამა ტორტის ეს ნაჭერი?!“

„ბილიკი III“ სახელმძღვანელოს მეცხრე კარშიც გრძელდება II თურმეობითის მწკრივის ახსნა, ოღონდ I ჯგუფის -ებთემისნიშნანებში. მაგ.:დაედასტურებინა, დაეჩქარებინა, გაენათებინა, გაენაწილებინა, გამოექვეყნებინა... მეათე კარში კი წარმოდგენილია I ჯგუფის სხვა ზმნებთან ერთად III ჯგუფის ზმნები, ვნებითები. მე-11 და მე-12 კარში კი I ჯგუფის სხვადასხვა ზმნაა მოცემული (ნ.შ. ბილიკი III, გვ.:191); მაგ.: გაეხურებინა, ეწვალა, მოეკლა, დაეხარა, გადაეცა... მოეტყუებინა, შეემოწმებინა, გაეფრთხილებინა, გაეხარებინა, დაემშვიდებინა... (გვ.:208).

B2 დონის „ბილიკი III“ სახელმძღვანელოს დასრულების შემდეგ შემსწავლელს ეცოდინება შემდეგი მწკრივები: I სერია - აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი; ხოლმეობითი; II სერია - წყვეტილი, II კავშირებითი; III სერია - I თურმეობითი, II თურმეობითი. ახსნილია ოთხივე ჯგუფის ზმნები I, II, III და IV ტიპის ზმნებში B 2 დონეზე.

„ბილიკი IV“ სახელმძღვანელოში უკვე აქტიურად ხდება I და II თურმეობითის მწკრივების გამოყენება შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით. დღევანდელ ქართულში, სასაუბრო ქართულში, III კავშირებითის მწკრივის გამოყენება იშვიათად არის საჭირო. ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე, საუბრის თემაზე, გარკვეულ ემოციაზე. ჩვენთვის მოლხენა, ოჯახში სუფრა, ჯერ კიდევ აქტიურ ტრადიციად რჩება. ფაქტობრივად, სადღეგრძელოების დროს განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება III კავშირებითის მწკრივი. შესაძლებელია კეთილისმსურველმა, ხანშიშესულმა ასე დალოცოს კიდევ მომავალი თაობა ან ვინმე, ან ახალგაზრდები, რომელთაც უსურვებს განსაკუთრებულად ბედნიერ მომავალს. ასეთი სიტუაციების დროს მივმართავთ მომავალ დროს, დიდ გრძნობასთან ერთად. III კავშირებითის წარდგენისას ვიმეორებთ იმავე მიდგომას, რომელიც I და II თურმეობითის ახსნისას გამოვიყენეთ. ამიტომ სუბიექტისა და ობიექტის ფორმებს აღარ გავიმეორებთ და მხოლოდ მწკრივის წარმოებას განვფენთ (ნ.შ. ბილიკი IV, გვ.:188):

მხ. რიცხვი	ზმნისწინი/მე -- ოს	მრ. რიცხვი	ზმნისწინი/გვე -- ოს
	ზმნისწინი/გვე -- ოს		ზმნისწინი/გვე -- ოთ
	ზმნისწინი/ე -- ოს		ზმნისწინი/ე -- ოთ

ეს ფორმები ახასიათებს I ჯგუფის ზმნების უმეტესობას. მაგ.: ეცხოვროს, გაეკეთებინოს, დაემალოს, გადაეთარგმნოს, დაეწეროს...

აქვე აღვნიშნავთ, რომ სხვაგვარია II, III და IV ჯგუფის ზმნებში ამ მწკრივის წარმოება, მეშველზმნიანი ფორმით. მაგ.: III ჯგუფის ზმნებში:

მხ. რიცხვი	ზმნისწინი/ვ --ულ/ილიყავი	მრ. რიცხვი	
	ზმნისწინი/ვ --ულ/ილიყავით		
	ზმნისწინი --ულ/ილიყავი	ზმნისწინი	--
	ულ/ილიყავით		
	ზმნისწინი --ულ/ილიყოს	ზმნისწინი --ულ/ილიყვნენ	

მაგ.:დამკვიდებულიყოს, გადაეთარგმნოს, ჩამოყალიბებულიყოს, დაბეჭდილიყოს, გამოქვეყნებულიყოს... (ნ.შ. ბილიკი IV, გვ.:189).

III სერია თავისი სამივე მწკრივით დიდ ფუნქციას ასრულებს ჩვენს მეტყველებაში კულტურული რუკისა და მენტალობის სხვადასხვა ფუნქციის გამოსვლენად. აშკარაა, რომ ძალიან აქტიურია I თურმეობითი ზემოთ ახსნილი სხვადასხვა მიზეზის გამო. წარსულში ქმედებას და სინანულს ავლენს II თურმეობითი, ნეტავ... და მომავლის ფუნქციითა და დიდი ემოციით ვიყენებთ III კავშირებითს. აი, ამ სახით წარმომიდგენია III სერიის სამივე მწკრივის სწავლება ჩვენი ენის შემსწავლელთათვის.

საკვანძო სიტყვები: ქართული ზმნა, მესამე სერია, ზმნის სწავლება

ლიტერატურა:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისი; დადგენილება # 394/დანართი 4 - ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, თბილისი, 2020.

ოპელი, მ., - ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობრივექტი. თბილისი, 2016.

მეიერი, ე., - კულტურული რუკა. დეკოდირება - ხალხის ნააზრევი, მართვა, კულტურული თანხვედრით გადაწყვეტილებების მიღება. ადამიანთა რესურსების განყოფილების გამომცემლობა. ნიუ-ორკი. 2015.

შანიძე, ა., - თხზულებანი თორმეტ ტომად. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. III ტომი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1980.

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე IV, C1. „მოსწავლის წიგნი“. პირველი გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2026.

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე III, B2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2015.

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე III, B2. „სამუშაო რვეული“, მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2011.

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე III, B2. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. პირველი გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2019.

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2019, 2014).

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „სამუშაო რვეული“, მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2017, 2011).

შავთვალაძე ნ., - სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. პირველი გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2014.

შავთვალაძე, ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე, ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“, დონე AI/A2, „სამუშაო რვეული“, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2013 (2008).

შავთვალაძე, ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე AI/A2, „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2021 (2014, 2007).

შავთვალაძე, ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A 1, „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეექვსე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2025 (2022, 2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე, ნ., მონოგრაფია „ქართულში თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიის, კლასიფიკაციის, კონსტრუქციისა და სწავლების საკითხები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999.

<https://eqe.ge/ka/page/static/665/profesiuli-standartebi>

<http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>

<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>

<https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

<https://www.english.com/>

<https://www.englishprofile.org/>
<https://www.cambridgeenglish.org/>
<https://www.lsgeorgia.com>

Nana Shavtvaladze

University of Georgia
Tbilisi, Georgia

e-mail: nana_shavtvaladze@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.47>

Teaching the Verb Conjugation System According to the CEFR (Series III)

Abstract

When teaching Georgian as a foreign language we teach aspects of the language studies, but also important details of the nation's consciousness emerge. These details form a unity that defines a nation's character, habits, traditions, and actions. A linguistic approach to language is understandable, but at the same time, everyone is interested in the overall cultural image of a given nation. This has become especially relevant today, when people of different cultures and nationalities are actively engaged in professional and academic life across various countries. Consequently, this global dynamic has generated new demands. The American scholar Erin Meyer addressed this challenge in her book *The Culture Map*, where she presents numerous nations and their cultural approaches from a practical perspective—yet Georgia is not among them. Erin Meyer's framework and research are quite impressive. The main difficulty for learners of Georgian as a foreign language—whether they are European, American, or Asian students—lies in understanding the structure of the Georgian verb and the patterns of its conjugation. Therefore, developing methodological approaches that help students grasp and internalize the Georgian verb system is of great importance. Naturally, work in this field is ongoing, and existing textbooks reflect the function and activity range of verbs to varying ways and depths. However, based on our many years of experience, we have become convinced that this is not sufficient. It is necessary to analyze each series and row of verbs, taking into account their specific characteristics and how they relate to different levels of instruction.

Verb categories should be separated and their use in spoken phases reflected—from the simplest to the most advanced levels. In other words, which verb forms learners use in speech, for what purposes, and with what frequency. In this article, we aim to present the difficulties involved in teaching the verb forms of the third series, as well as the methods we have tested to address these challenges. It is important to note that we take into account both the V-type and M-type verb systems, including their categories of usage and distribution. Furthermore, we confirm the presence of functional derivational suffixes that purposefully reflect the form and semantics of a specific verb group.

Keywords: Georgian verbs, the third series, teaching of the verb.